ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4679195

ნომერი: AR1706486

თარიღი : 12.09.2019

გაცემის თარიღი : 20.09.2019

გაცნობის თარიღი : 20.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, თინათინის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეონა კვიკვინია პ/ნ 58001005154
- თბილისი, მოსკოვის გამზირი 14ა, ბინა 154

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის № 4651151 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 12 სექტემბერს №AR1706486 განცხადებით მომართა თეონა კვიკვინიამ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 04

სექტემბრის № 4651151 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის № 4651151 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, თინათინის ქუჩა, №2-ში, შპს „დიღომი+“ -ის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.035.587), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 04 სექტემბრიდან 2020 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის № 4651151 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელი ითხოვს საცხოვრებელი ფართობად 2365.1კვ.მ-ის ნაცვლად 2370.3კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 812.2 კვ.მ-ის ნაცვლად 810.6 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5123.8კვ.მ-ის ნაცვლად 5127.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (ანცხადების რეგისტრაცია:N 882019733604; მომზადების თარიღი: 12/09/2019) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, თინათინის ქუჩა №2-ში N 01.72.14.035.587 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,დიღომი +“-ი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 430034232). მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ,,დიღომი +“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 430034232) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს თეონა კვიკვინია, შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის №4651151 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის № 4651151 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 2370.3კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 810.6 კვ.მ, საერთო ფართობად 5127.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის № 4651151 ბრძანებით შეთანხმებული მე-6 და მე-11 სართულის გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 12 სექტემბრის №AR1706486 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის №4651151 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 სექტემბრის №4651151 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.